საქართველოს ფეხბურთელთა გამარჯვება მოსკოვში

მოსკოვი. 11 ივნისი (საკდესი). მოსკოველთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია თბილისის "დინამოს" და მოსკოვის "სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრამ, რაც გუშინ მოხდა. ფეხბურთის ბევრ მოყვარულს ახსოვს 1939 წელი, როცა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის შეუპოვარ ბრძოლაში სპარტაკელებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო თბილისის დინამოელებმა – მეორე.

"დინამოს" სტადიონი ომის შემდეგ ჯერ ერთხელაც არ ყოფილა ისე გაჭედილი ხალხით, როგორც გუშინ. დინამოელებმა თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყეს თამაში და მეორე წუთშივე გახსნეს ანგარიში. წარმატებამ ფრთები შეასხა თბილისელებს. იერიში იერიშს მოსდევდა და მალე მეორე ბურთიც გაიტანეს. სპარტაკელებმა გააძლიერეს იერიში. თამაშმა არაჩვეულებრივად ცოცხალი და მწვავე ხასიათი მიიღო. ორივე მხარეს ზედიზედ მიჰქონდა იერიში, მაგრამ ტაიმის დამთავრებამდე ანგარიში მაინც არ შეცვლილა.

მეორე ტაიმში თამაში ხან ერთ კართან იყო და ხან მეორესთან. სპარტაკელები ცდილობდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გაეტანათ სამაგიერო ბურთი, მაგრამ დინამოელები ტემპის შეუნელებლად მარჯვედ აქარწყლებდნენ მათს ცდებს. ამ მატჩში ინტენსიური თამაში დასჭირდა ჩვენი ქვეყნის ერთ–ერთ საუკეთესო მეკარეს სპარტაკელ ლეონტიევს.

თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე დინამოელ მეკარეს სანაიას ტაქტიკური შეცდომა მოუვიდა, იგი რამდენიმე მეტრით მოშორდა კარს. სპარტაკელმა თავდამსხმელმა ადვილად შეაგდო ბურთი ღია კარში. სანაიას პირველი ბურთი გაუსხლტა ამ სეზონში. ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით 2:1.

"კომუნისტი", 12 ივნისი 1945 წ.